ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N31

ქ.ზუგდიდი **18 დეკემბერი 2023 წელი**
13:00 სთ

2023 წლის 18 დეკემბერს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: თაზო ფაცაცია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: კობა ჯიქია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი;

.....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი;

.....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე;

თემურ ჯიქია-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

.....ა-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე;

.....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 9 წევრი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: კობა ჯიქია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 8 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423342205 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233451-25 8.12.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის წარმომადგენლებს კომისიის წევრებს მიაწოდონ ინფორმაცია 2024 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული პროექტი კომისიებზე განხილული იყო და მერიაში გაგზავნილი იყო კომისიებზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები თანხების დამატებასთან დაკავშირებით გარკვეულ მუხლებში. კონკრეტულად რომელი წინადადება თუ შენიშვნა იქნა გათვალისწინებული წარმოდგენილ პროექტში.

აზრი გამოთქვეს: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „იმით დავიწყებ, რომ საკითხები დასმულია კომისიების და ფრაქციების მიხედვით. აქ ძალიან ბევრი საკითხია, ზოგიერთი არის კონკრეტული, რომელიც ეხება უშუალოდ საბიუჯეტო თანხებს -გამოყოფას, დამატებას, ზოგიერთი ასე ვთქვათ თეორიული სახის. კომისიის მიერ დასმული საკითხებიდან ერთი ეხებოდა ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილის გადიდების უზრუნველყოფას ახალი დამატებით წყაროს მიხედვით და აქ მოიაზრებოდა ავტოსადგომების ანუ პარკინგის მოწყობა. ეს საკითხი ამ ნაწილში გათვალისწინებულია, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ამის საფუძველზე გაზრდილი არის 350 000(სამასორმოცდაათიათასილარი) ლარით. ეს რაც შეეხება საშემოსავლო ნაწილს, ხოლო უშუალოდ გამოთქმულ შენიშვნებში ლაპარაკი იყო მოწყობაზე და იქიდან გამომდინარე, შემოსავლის დამატებითი წყაროს მოძიებაზე. შემოსავლის წყარო, რა თქმა უნდა შესაბამის სამსახურზე დაყრდნობით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, საშემოსავლო ნაწილი რომ გაზარდა პარალელურად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოკლე პერიოდში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, საიდანაც ეს შემოსავლები უნდა იქნეს ამოღებული, ამ კუთხით სამსახურში, როგორც ჩვენთვის ცნობილია, გარკვეული პრაქტიკული და ორგანიზაციული ღონისძიებები დასახულია, აქედან გამომდინარე, ამ ნაწილში გამოთქმული შენიშვნა ძირითადში გათვალისწინებულია.

ასევე საკითხი ეხებოდა სხვადასხვა კუთხით ინფრასტრუქტურას და რამდენადაც ჩვენი კოლეგები შესაბამისი სამსახურიდან დღევანდელ სხდომას ესწრებიან ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას უფრო კონკრეტულად პროექტების მიხედვით ისინი მოგაწოდებენ ინფორმაციას.

გარდა ამისა, ძირითადად ყველა კომისიის და ფრაქციის მოსაზრება ერთმანეთს ემთხვეოდა განსაკუთრებით კულტურულ, საგანმანათლებლო, სოციალურ და ჯანდაცვის კუთხით გარკვეული პროგრამების გადასინჯვა და თანხების დამატება. კულტურის სფეროს რამოდენიმე აა)იპის მიმართ იყო გამოთქმული, რომ მათი სუბსიდიები, ასიგნებები გაზრდილიყო, ეს ეხებოდა სახელოვნებო სკოლების გაერთიანებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს, ბიბლიოთეკების გაერთიანებას. ჯერჯერობით ეს საკითხები ჩვენთან ხელმძღვანელობის დონეზე განხილვის პროცესშია და როდესაც მორჩება მთლიანობაში მეორე განხილვები, ამის შემდეგ საბოლოოდ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, მაგრამ დიდი ალბათობით მიღებული შენიშვნები და წინადადებები თანხების დამატებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნება.

რაც შეეხება სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს, აქაც იყო საუბარი ახალი პროგრამების შემოღებაზე და ზოგიერთის გადიდებაზე. ამ საკითხებზე კოლეგები

ისაუბრებენ, მე შეგნებულად არ შევეხები, რადგან ეს არის სიახლე და უშუალოდ ისინი მუშაობენ ამ თემებზე.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ბატონო ლაშა, პარკინგთან დაკავშირებით დაახლოებით როდისთვის იქნება ამუშავებული.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „ჩვენი გეგმით სადღაც მეორე კვარტლის დასაწყისში უკვე მზად ვიქნებით ტენდერი გამოვაცხადოთ.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „და შემუშავებული გაქვთ როგორ უნდა მოხდეს ეს.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „ეს მოხდება აუქციონის წესით. ჩვენ სადღაც 1 200 საპარკინგე ადგილი გვაქვს გათვალისწინებული, ნახაზები გაკეთებულია და მზად ვართ აუქციონის ჩასატარებლად, მხოლოდ რაღაც პატარა დეტალებია დასაზუსტებელი. გამოცდილების გაზიარების მიზნით ვიყავით ბათუმში, ქუთაისში, თბილისში.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „ეს 1 200 ადგილი ერთ კომპანიაზე გაიცემა თუ რამდენიმეზე გადანაწილდება.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „სავარაუდოდ ერთ ლოტად გავუშვებთ. „

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „ჩემი აზრით უმჯობესი იქნება რამდენიმე ლოტად გავიტანოთ გარკვეულ მონაკვეთებად.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „ამ შემთხვევაში არსებულ წესში ცვლილება იქნება შესატანი და დეტალებში შეიძლება გავიაროთ ეს თემა.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „გარკვეული ადგილი შეიძლება საპარკინგე ადგილი იყოს და ახლა იქ ტაქსები დგანან და არაფერს არ იხდიან. როგორ შეეხება ეს საკითხი ტაქსებს.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „როგორც იცით 2025 წლის იანვრიდან მუნიციალიტეტს ეკისრება რომ მოაწესრიგოს აღნიშნული საკითხი კანონის ფარგლებში და კომპლექსურად იქნება მოსაგვარებელი.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ინფრასტრუქტურის სამსახურისთვის 300 000(სამასიათასილარი) ლარის დამატების მოთხოვნაზე რა ხდება.“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „არ არის არანაირი თანხა დამატებული, გარდა 60 000(სამოციათასილარი) ლარისა.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ერთი კითხვა მექნება, სამოქალაქო ბიუჯეტს დააკლდა 100 000(ასიათასილარი) ლარი და ამაზე მაინტერესებს ინფორმაცია, რატომ მოხდა თანხის დაკლება.“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „თანხის არ ქონის გამო მოხდა დაკლება და შესაბამისად 900 000(ცხრაასიათასილარი) ლარზე მივიღებთ პროექტებს.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „სამოქალაქო ბიუჯეტის თანხების დაკლებაზე რა კომენტარს გააკეთებს მერიის საფინანსო სამსახური.“

აზრი გამოთქვეს: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განაცხადა:** „იყო მოთხოვნა თანხის შემცირებაზე და ეს თანხა გადანაწილდა სხვადასხვა პროექტებზე.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ვინც ითხოვდა თანხის დაკლებას ალბათ იქნებოდა დასაბუთება, მაგრამ არ ვეთანხმები ინფრასტრუქტურის თანხის შემცირებას, მით უმეტეს სამოქალაქო ბიუჯეტს, მოქალაქეების ჩართულობის მხრივ. თუ პროექტები არ გვქონდა, ან ვერ ვახერხებდით 1 000 000(ერთიმილიონილარი) ლარის ათვისებას ეს ცალკე თემაა.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „აღმართებზე 26 პროექტები რომ არის დამტკიცებული დანარჩენებზე რას გვეტყვით?“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „ამ სამუშაოებისთვის გათვალისწინებული გვაქვს თანხები და მომავალ წლის იანვრიდან მოვახდენთ იდენტიფიცირებას და გამოვაცხადებთ ხელახალ პროექტირებას. სამწუხაროდ, იმ 26 აღმართით არ იწურება სოფლებში არსებული მდგომარეობა.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განაცხადა: „არის იმის ალბათობა, რომ ამ წელს დამტკიცებულ 26 პროექტს დაემატოს კიდევ პროექტი?“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განმარტა: „თუ ვაჭრობის შემდეგ თუ დარჩა ეკონომია და მუნიციპალიტეტმა ეს ეკონომია თუ დაუტოვა ინფრასტრუქტურის სამსახურს რა თქმა უნდა დავამატებთ.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „სამოქალაქო ბიუჯეტის თანხები სრულად არის ათვისებული?“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „ეს თანხა არ არის სრულად ათვისებული. ვინაიდან რამოდენიმე პატარა პროექტი იყო, ვიფიქრეთ რომ ლოკაციების მიხედვით მოგვეხდინა მათი გაერთიანება სამ-სამად და ისე გამოგვეცხადებინა ტენდერი, თუმცა ამ კუთხით დაინტერესება არ გამოვლინდა. მერე დავშალეთ ეს პროექტები, გამოცდილების ნაწილიც გავამარტივეთ და ისე გავიტანეთ ტენდერზე, მაქსიმალურად ხელი შევუწყვეთ, რომ ნაკლებად გამოცდილ ფირმებსაც ჰქონოდათ შესაძლებლობა ტენდერში მონაწილეობის. ამ მომენტისთვის ყველა ტენდერი შედგა და არის ხელშეკრულების დადების ეტაპზე. რჩება ორი პროექტი -შუქნიშანი მე-4-ე სკოლის წინ, რომელზეც როგორც ვიცი ტრანსპორტის სამსახური მუშაობს და მეორე პროექტი კომბინატის კულტურის სახლის შემოღობვა, რომლის ღირებულებაც არის 200 000(ორასიათასილარი) ლარი ამ ეტაპისთვის ამის არც რესურსი იყო და ჩვენი აზრით არ ისეთი კრიტიკული მნიშვნელობის იყო, რომ ამხელა თანხა მანდ მიმართულიყო. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სამოქალაქო ბიუჯეტის წესდებაში ცვლილებები შევიტანოთ და კონკრეტულად პროექტების ჩარჩო გავაკეთოთ, რადგან სამოქალქაო ბიუჯეტის სიკეთეს არ ღებულობდეს მხოლოდ მაგალითად 10-15 ოჯახი- სადღაც სანიაღვრე კეთდება ან შემოღობვა. რა თქმა უნდა ასეთი პროექტებიც საჭიროა, მაგრამ ჩემი აზრით სამოქალაქო ბიუჯეტის აზრს და არსს გაცდა და ვფიქრობთ პატარა ცვლილება შევიდეს და ძირითადი მიმართულება იყოს სპორტული ინფრასტრუქტურა, პარკები, სკვერები, სასმელი წყალი და ა.შ. მაქსიმალურად ფართომასშტაბიანი პროექტები დაფინანსდეს სამოქალაქო ბიუჯეტით.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „მინდა განმარტება გავაკეთო მე-4-ე სკოლის წინ შუქნიშნის განთავსების საკითხზე-არც საპატრულო პოლიციამ და არც 112-მა არ მოგვცეს თანხმობა შუქნიშნის იქ განთავსებაზე, რაზეც წერილობითაც მივიღეთ მათგან შეტყობინება.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: “მაინტერესებს რამე დიდ პროექტს ელოდებით ან ინვესტორის შემოსვლას.“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „ინფრასტრუქტურის კუთხით არასამთავრობო ორგანზაციები რაღაც სამუშაოებს გვპირდებიან, მაგრამ ეს არ არის დიდი ბიუჯეტი- ერთი არის 50 000(ორმოცდაათიათასიევრო) ევროს ღირებულების, მეორე პროექტი არის თეატრის წინ გაკეთდეს პარკი თანადაფინანსებით არასამთვრობოსთან ერთად. ასევე განვიხილავთ GIZ 50 000(ორმოცდაათიათასიევრო) ევროს ფარგლებში რა პროექტს დააფინანსებს, ასევე გვპირდებიან და ამაზე ვმუშაობთ, რომ ქალაქის ერთიანი სანიაღვრე ქსელის პროექტირებაც გააკეთოს ამ ორგანიზაციამ.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „გენგეგმის ცვლილებაზე რა ხდება, თუ არ შეიცვალა ეს გეგმა ინვესტორის შემოსვლაც გაჭირდება.“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „გენგეგმას რა პრობლემებიც ქონდა წერილობითი ფორმით უკვე ჩამოვაყალიბეთ და გავაგზავნეთ ეკონომიკის სამინისტროში განსახილველად. მხოლოდ ინვესტორის პრობლემა არ დგას, იქ უფრო მწვავე პრობლემა დგას, რაც არის საკუთრების უფლების ხელყოფა იმ მხრივ რომ მაგალითად, სადღაც არის სატრანსპორტო-სარეზერვო ზონა, სადაც გზა (სარეზერვო) არის დატანილი გენგეგმაში, რეკრეაციულ ზონაშია გარკვეული კერძო საკუთრებები მოქცეული და ა.შ. და ამ მიმართულებით საკმაოდ არის სამუშაო პირველ რიგში ის, რომ ადამიანების კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლება ხელყოფილი არ იყოს. თუ მუნიციპალიტეტი ფიქრობს, რომ კონკრეტულ ადგილას რეკრეაციული ზონა, ხიდი ან გზა მოაწყოს, მაშინ ლოგიკურია ან ადგილმონაცვლეობით

უნდა მივიდეთ იმ ხალხთან, ან გამოვისყიდოთ, ან მოვხსნათ ეს შეზღუდვა. ეს ყველაფერი ჩამოყალიბებულია, ეკონომიკის სამინისტროსთვის მიმართულია ველოდებით მათგან უკუკავშირს. შემდეგ საკრებულოს ჩართულობით გამოვნახავთ რესურსს და გამოვაცხადებთ ტენდერს საპროექტო კუთხით და ცვლილება დამტკიცდება საკრებულოს მიერ. ამ ეტაპზე ვართ დღის მდგომარეობით."

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „ე.წ. კომკავშირული პარკის მიმდებარედ მიტოვებული მშენებლობა რომ არის, რომელსაც ჩინური კომპანია აშენებდა, ამასთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ გვითხრათ."

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „მოგახსენებთ, რომ თითქმის ყოველდღიური ინფორმაცია მაქვს ადგილზე ვიზიტებით. საკმაოდ მძიმე სიტუაცია არის იმ კუთხით, რომ გარკვეული ტიპის დამატებით სამუშაოებს საჭიროებს რკინა-ბეტონის კონსტრუქცია გაძლიერების მიმართულებით, ასევე იყო გადასაწყვეტი კანალიზაციის საკითხი, ვინაიდან ბენდელიანის ქუჩაზე კანალიზაციის ძველი ქსელია და მუნიციპალური განვითარების ფონდთან შევთანხმდით იმაზე, რომ იმ ქუჩის ქსელს გამოცვლიან თავისი სახსებით, ასევე საუბარი იყო სანიაღვრეებზე, წყლის მიწოდებაზე, საავარიო დაცლაზე. ამ წუთას მიმდინარეობს საბურღი სამუშაოები რკინა-ბეტონის კონსტრუქციის, წყლის გამოდევნითი სამუშაოები, აგრეთვე საძირკვლის და მონოლითური კონსტრუქციის გაძლიერების საპროექტო სამუშაოები, ასევე მიმდინარეობს ნიშნულის აწევაზე საპროექტო სამუშაოები. სამუშაოებს ატარებს კომპანია „საბა კონსტრაქშენი", რომელსაც საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს. მათი აშენებულია ბათუმის სპორტული კომპლექსი, თბილისის კალათბურთის დარბაზი, ქუთაისის საცურაო აუზი. მე როგორც ინჟინერმა შემიძლია ვთქვა, რომ კარგად მიყვებიან თავიან საქმეს, ამ ეტაპზე. როგორც კომპანიის საპროექტო ჯგუფი, ასევე მუნიციპალური განვითარების ფონდის საპროექტო ჯგუფი ერთობლივად მუშაობენ იმისთვის, რომ საბოლოოდ შექმნან ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომ გამართულად წავიდეს მშენებლობა და გამართული ექსპლოატაცია დადგეს შემდგომში, ვინაიდან ახლა პროექტში იყო გათვალისწინებული 25-დან 30 კუბურ მეტრამდე ბიოსეპტიკის შემკრები ჭის მოწყობა და მერე სატუმბი სადგურებით საკანლიაზაციო სისტემაზე დაერთება, რაც ექსპლოატაციის პერიოდში მუნიციპალიტეტს ძალიან დიდ პრობლემებს შეუქმნიდა, მათ შორის, როგორც ხარჯვით ნაწილში და სამწუხაროდ, შუქის ქრობა ხშირი გვაქვს და ასეთ დროს საკმაოდ რთული პრობლემის წინაშე დავდგებოდით საკანალიზაციო სისტემის მიმართულებით. ამიტომ ახლა იქ მიმდინარეობს ვიწრო სპეციალობების მქონე პირების ჩართვა ამ მიმართულებით."

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „კიდევ ერთი საკითხი სტადიონთან დაკავშირებით- მოხდა ის, რაც მოხდა, ვერ გაკეთდა როგორც საჭირო იყო ისე, მაგრამ ახლა უნდა გავყინოთ. რამდენი ხანი უნდა ველოდოთ, რაღაცა ხომ უნდა დაიწყოს."

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „ამ ეტაპზე მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ამ მიმართულებით ველოდებით საპროექტო ორგანიზაციას."

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ბატონო ლაშა, ტრანსპორტის მიმართულებით 2024 წელს რამდენი გაქვთ დაგეგმილი შემოსავალი"

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „100 000(ასიათასილარი) ლარით მეტი გვაქვს დაგეგმილი შემოსავლები ადმინისტრირების (გამკაცრებით) კუთხით. თუმცა ყველამ ვიცით, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი ზოგადად წამგებიანია."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის“ დადგენილების პროექტი ჩაითვალოს მომზადებულად და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია